*დანართი №1*

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
არქეოლოგია, მაგისტრატურა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
20.02.2023
დასკვნის წარდგენის თარიღი
27.04.2023

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ..... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ..... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ..... 7

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ..... 7

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ..... 16

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ..... 23

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ..... 27

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ..... 35

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **შპს საქართველოს უნივერსიტეტი** |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **205037137** |
| დაწესებულების სახე | **უნივერსიტეტი** |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **თეიმურაზ პაპასქირი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **მერაბ ჭუმბურიძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **პაატა ბუხრაშვილი**, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ქეთევან დიღმელაშვილი**, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ირმა ქურდაძე**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **საბა ყაფლანიშვილი**, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | არქეოლოგია |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Archaeology |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | არქეოლოგიის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0222 ისტორია და არქეოლოგია |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br>აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №71, 28.12.2017 |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. აქედან 66 კრედიტი ეთმობა პროგრამის ძირითად საგნებს, 12 ECTS კრედიტი განსაზღვრულია სპეციალიზაციის არჩევითი მოდულებისათვის; 12 ECTS კრედიტი ეთმობა არჩევით საგნებს; 30 ECTS კრედიტი განკუთვნილია სამაგისტრო ნაშრომისათვის.
არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამას ემსახურება 17 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაგან 12 დარგობრივი მიმართულებითაა.
პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – არქეოლოგიის მაგისტრი – შესაბამისობაშია როგორც პროგრამის შინაარსსა და შედეგებთან, ისე ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს საქართველოს უნივერსიტეტში არქეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად ჩატარდა 2023 წლის 20 თებერვალს. ვიზიტმა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით ჩაიარა და მის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს (საბაკალავრო პროგრამის), კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, აუდიტორიები, კაბინეტები და ბიბლიოთეკა. ვიზიტის მსვლელობაში დადგინდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა თუ ადგილზე არსებული რეალობის ურთიერთშესაბამისობა.
ვიზიტმა კოლეგიალურ ვითარებაში ჩაიარა და მისი მსვლელობისას რაიმე პრობლემები არ შექმნილა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

პროგრამის შესწავლის შემდეგ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაცია:

1.5.1. უნდა გადამუშავდეს საგნების „არქეოლოგიური პრაქტიკა“ და „აკადემიური წერა და კვლევა“ სილაბუსები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის შესწავლის შემდეგ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვს შემდეგი რჩევები:

1.4.1. სასურველია, რომ პროგრამის სტრუქტურაში ცალკე იქნას გამოყოფილი შუა საუკუნეების არქეოლოგიის შემსწავლელი საგნები მეოთხე არჩევითი მოდულის – შუა საუკუნეების არქეოლოგიის სახით.
1.4.2. სასურველია, რომ პროგრამის არჩევით საგნებში მოცემული ინგლისური ენა B2+ ჩანაცვლდეს დარგობრივი ინგლისური ენით.
1.5.2. სასურველია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები (მიეთითოს გამოცემის წელი) სილაბუსებში: არქეოლოგიური კოლექციების ინტერპრეტაცია მუზეუმებში; გეოინფორმაციული ტექნოლოგიები არქეოლოგიაში; ქალკოლითური კულტურების არქეოლოგია და ა.შ.
2.1.1. სასურველია, პროგრამაზე მიღება არ იყოს შეზღუდული მხოლოდ ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებით.
2.1.2. სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობებში მითითებული იყოს, რომ პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესით წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ასევე პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს არქეოლოგიური კვლევის თანამედროვე სტანდარტებისა და მეთოდების მცოდნე, არქეოლოგიური ექსპედიციის ორგანიზებისა და განხორციელებისთვის აუცილებელი კომპეტენციისა და პრაქტიკული უნარების მქონე პროფესიონალის ჩამოყალიბებას, რომელსაც საფუძვლიან დარგობრივ ცოდნასთან ერთად აქვს თანამედროვე მაღალკვალიფიციური არქეოლოგისთვის აუცილებელი ფართო ინტერდისციპლინური ცოდნა და უნარები; დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება სამაგისტრო სწავლების დონისათვის შესაბამისი კვლევითი და პრაქტიკული უნარების ფორმირება, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის თანამედროვე, დროის მოთხოვნებზე ორიენტირებული თეორიული და პრაქტიკული კურსების სინთეზით. პროგრამაში ჩართული სპეციფიკური მოდულების (ქვისა და ბრინჯაოს ხანა, ანტიკური ეპოქა, ქალკოლითი და ნეოლითი) არჩევის შესაძლებლობა მაგისტრანტს უღრმავებს პროფესიულ ცოდნას კონკრეტული მიმართულებით. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სასწავლო პროგრამაში წარმოდგენილი საგნები ქმნიან ოთხ ძირითად საგნობრივ ჯგუფს. მათში დისციპლინათა თანმიმდევრობა და თანაფარდობა ლოგიკურად განპირობებულია სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენციების განვითარების საჭიროებით, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, ყოველი მომდევნო დისციპლინა უკეთესად აითვისოს.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება სწავლების საფეხურს, საჯაროა, ხელმისაწვდომი, რეალისტური, მიღწევადია და ასახავს წვლილს სფეროს განვითარებაში. მიზანში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს დარგობრივი მახასიათებლის მიერ განსაზღვრულ სწავლის სფეროს თავისებურებებს, ასევე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0222 ისტორია და არქეოლოგია“. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად. სწავლის დროს გამომუშავებული უნარები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს:

სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, არქეოლოგიურ ექსპედიციებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, მუზეუმებსა თუ კულტურული მემკვიდრეობის პრობლემებზე მომუშავე სხვა საჯარო და/ან კერძო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში. პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება გააგრძელოს სწავლა სადოქტორო საფეხურზე შესაბამისი ან მომიჯნავე (კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი, პალეონტოლოგია, ანთროპოლოგია) სპეციალობით. პროგრამის მიზნები ასევე შეესაბამება უსდ-ს მისიას და სტრატეგიულ გეგმას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს უნივერსიტეტის მისია – https://ug.edu.ge/storage/documentations/April2021/mRwC4BIsaLj9cSUxAuPB.pdf;
- საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა 2020-2027 – https://www.ug.edu.ge/ge/strategy.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამას აქვს 20 შედეგი. პროგრამაში მითითებულია, რომ

კურსდამთავრებული ღრმად და საფუძვლიანად იცნობს: არქეოლოგიური მასალის აღწერა/რეგისტრაციის, ჩახაზვის, ფოტოგრაფირების ასევე, მეცნიერული კვლევის, კამერალური დამუშავება/ დოკუმენტირების, სერიაციის, კომბინაციის სტატისტიკის და კორესპონდენციის მეთოდებს: საბაზისო ბიოლოგიას (ძვლის აგებულება და ზრდის პროცესი, ცხოველთა ჩონჩხები) და ტაფონომიისა ან ადამიანის ზეგავლენით გამოწვეული ტრანსფორმაციის პროცესების თავისებურებს; პალინოლოგიური კვლევისთვის რელევანტურ მეთოდებს: საანალიზო ნიმუშების აღება, ორგანული ნაშთებისა და არქეოლოგიური ჭურჭლის შიგთავსის პალინოლოგიური კვლევა, პალინოლოგიური დიაგრამების აგება, პალეოეკოლოგიური რეკონსტრუქცია; დაავადებათა წარმოშობის ისტორიას და მათი განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებს, დარგისთვის დამახასიათებელ სპეციფიურ ტერმინებს. აცნობიერებს პათოლოგიურ პროცესებს რომელიც გავლენას ახდენენ ძვალზე; საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მომხდარი ცვლილებების მატერიალურ კულტურაში ასახვის პროცესებსა და დინამიკას; ქრისტიანული ხანის საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების კვლევების თანმიმდევრობას და არქეოლოგიური ნიმუშების ფიქსაციის პრინციპებს; აკადემიური წერისა და კვლევის სტრატეგიებსა და სტანდარტებს; კურსდამთავრებული ასევე სპეციალიზაციის შერჩეული მოდულის შესაბამისად სიღრმისეულად იცნობს: პრეისტორიული და ბრინჯაოს ხანის წინა აზიის არქეოლოგიური კულტურების უმნიშვნელოვანეს ძეგლებს; კოლხური კულტურის გავრცელების არეალს, ქრონოლოგია-პერიოდიზაციას, წამყვან კომპონენტებს და მათი თავისებურებებს; ქართლის სამეფოს წამყვანი არქეოლოგიური ძეგლების თავისებურებებს (საერო და სატაძრო არქიტექტურა, თავდაცვითი ნაგებობანი, აბანოები) და გეოგრაფიულ საზღვრებს; ქალკოლითური კულტურისა და ნეოლითური არქეოლოგიის მახასიათებლებს და მნიშვნელოვან ძეგლებს. კურსდამთავრებულმა ასევე საფუძვლიანად იცის: არქეოლოგიის წყაროების ძირითადი კატეგორიების: „ცალკეული არქეოლოგიური მონაპოვარი“, „სამარხეული ძეგლები“, „საკულტო ძეგლები“, „ნაქალაქარი/ნამოსახლარები“, „განძები“ – დამახასიათებელი თავისებურებები; პროექტის, მათ შორის არქეოლოგიური პროექტის, მართვის სტანდარტები და პრინციპები; გეოფიზიკური დაზვერვების წარმოების თეორია და პრაქტიკული გამოყენების (გეოფიზიკური და გეოარქეოლოკაციური მეთოდები) პრინციპები; პალინოლოგიური დიაგრამების აგების წაკითხვის და ინტერპრეტაციის პრინციპები და ხერხები. კურსდამთავრებული არქეოლოგიური დაზვერვების წარმოების დროს პრაქტიკაში იყენებს გეოარქეოლოკაციური მეთოდებს; ამზადებს და მართავს არქეოლოგიურ პროექტს ან/და გეგმავს და ახორციელებს არქეოლოგიურ ექსპედიციას, ახდენს მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კამერალურ დამუშავებას და დოკუმენტირებას თანამედროვე ხერხებითა და სტანდარტების გათვალისწინებით; ახორციელებს პალინოლოგიური დიაგრამების აგებას, წაკითხვასა და ინტერპრეტაციას; ახერხებს მიწისქვეშა არქეოლოგიური ობიექტების განსაზღვრისას თანამედროვე გეოფიზიკური ტექნიკის გამოყენებით მიღებული შედეგების, მათ შორის რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის და ინოვაციური სინთეზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას და პრეზენტაციას აკადემიურ და/ან ფართო საზოგადოებასთან; ახდენს შეძენილი ცოდნისა და ცვალებად სიახლეებთან (ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები, პუბლიკაციები) ინტეგრირებას და პროფესიულ თვითგანვითარებას; ახორციელებს არქეოლოგიურ კვლევას არქეოლოგის პროფესიული ღირებულებების და ეთიკური სტანდარტების გათვალისწინებით და ახდენს მიღებული შედეგების შესაბამის ინტერპრეტაციას და კვლევითი ნაშრომის (სამაგისტრო

ნაშრომი, პუბლიკაცია) ფორმატში ტრანსფორმაციას.
სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ნათლად არის გაწერილი, რეალისტურია, მიღწევადი და გაზომვადია; აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს სწავლის პერიოდში. სწავლის შედეგები შედგენილია არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის, სწავლის სფეროს სპეციფიკის, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსის (0222 ისტორია და არქეოლოგია“) მიხედვით და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - „არქეოლოგიის მაგისტრი“. პროგრამის შედეგების შემუშავებაში ჩანს მონაწილე და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების გაცნობას დაინტერესებული საზოგადოებისათვის. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლების შედეგები შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებით. სწავლის შედეგები რელევანტურია პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებისა და იძლევა უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურებზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- არქეოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი https://eqe.ge/res/NewFolder/NewFolder/NewFolder/NewFolder/არქეოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი.pdf;
- პოტენციურ დამსაქმებელთა მოთხოვნის კვლევის ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს აქვს სრულიად გამჭვირვალე და სისტემური სახე. საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლას შემუშავებული აქვს პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს შემდეგ ეტაპებს: 1. სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრასა და მათ შეგროვებას და 2. მონაცემთა ანალიზს. დადგენილი პერიოდულობით (ორ წელიწადში ერთხელ) ხდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, რაც ხორციელდება ორი მიმართულებით: პირველი არის სწავლის შედეგების აქტუალობის გადამოწმება შრომის ბაზარზე (ხორციელდება დამსაქმებლისათვის განკუთვნილი კითხვარების შედეგების ანალიზით და დგინდება, რამდენად ინარჩუნებს აქტუალურობას სწავლის არსებული შედეგები და ხომ არ შეინიშნება ცვლილებები ამ მხრივ, რომლებიც შესაბამის რეაგირებას საჭიროებენ შეცვლილი შედეგების მისაღწევად ცალკეული სასწავლო კურსების მოდიფიცირების ან ახალი სასწავლო კურსის შეთავაზების თვალსაზრისით) და, მეორე, კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებული კურსდამთავრებულების გამოკითხვის მონაცემები (დგინდება, რამდენად შესაბამისია მათ მიერ მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული/ტრანსფერული უნარები დასაქმების ბაზრის რეალურ მოთხოვნებთან).

მიღებული შედეგების ანალიზი წარმოადგენს სამაგისტრო პროგრამის დახვეწა/სრულყოფის და ახალ მოთხოვნებთან ადაპტაციის საფუძველს. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი (სტუდენტთა ტესტები, ქვიზები, საშინაო დავალებები, ესეები, პრეზენტაციები, პროექტები, სამაგისტრო ნაშრომები და ა.შ.) და არაპირდაპირი (სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, ინტერვიუები, მათი GPA, კურსდამთავრებულთა რაოდენობა და საბოლოო შეფასება, დასაქმებისა და სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების მაჩვენებლები; დამსაქმებელთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვები, და ა.შ.) შეფასების მეთოდები.

თითოეული სწავლის შედეგისათვის გამოიყენება, სულ მცირე, ერთი პირდაპირი შეფასების მეთოდი, რომელიც ადგენს შესაბამის სპეციფიკურ სამიზნე ნიშნულებს/სტანდარტებს: სტუდენტის წარმატების სასურველი/განსაზღვრული დონის მაჩვენებელ სამიზნე ნიშნულებს. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საველე არქეოლოგიური მუშაობის უნარების განვითარებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლის გასაზომადაც გამოიყენება რეალური არქეოლოგიური პრაქტიკა და მისი განხორციელებისას სტუდენტის მიერ ნაჩვენები სფეროში მიღებული თანამედროვე სტანდარტების პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

სწავლის შედეგების გაზომვის ინსტრუმენტებად გამოიყენება გამოკითხვის შედეგების ანალიზისა და რეკომენდაციების შედარება სწავლის შედეგების რუკასთან. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც

გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის დახვეწას და/ან რესურსების განახლებასა და განვითარებას. ცხადია, ამ ანალიზის შედეგები და დასახული ღონისძიებები ყველა დაინტერესებული პირისათვისაა ხელმისაწვდომი.
სამაგისტრო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასება გამჭვირვალეა და მიმდინარეობს თანმიმდევრულად სფეროს სპეციფიკის შესაბამისად. უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების პერიოდული შეფასების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სწავლის სფეროსა და საფეხურის სპეციფიკას, იყენებს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს. სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი კარგად იცნობს პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და იყენებს მათ. უსდ ახორციელებს პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზის შედეგების გაცნობას დაინტერესებული მხარეებისათვის და უზრუნველყოფს მათ გამოყენებას პროგრამების შემდგომი განვითარება-გაუმჯობესებისათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში;
- სტუდენტების გამოკითხვის ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

არქეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება მის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამა შედგენილია საქართველოს უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის დებულების მიხედვით. პროგრამის შემუშავებისას მოხდა დასაქმების ბაზრისა და საგანმანათლებლო ბაზრის კვლევა.

სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 სემესტრს, ხოლო მოცულობა – 120 კრედიტს, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: 66 ECTS კრედიტი ითვალისწინებს პროგრამის ძირითად საგნებს; 30 ECTS კრედიტი განკუთვნილია სამაგისტრო ნაშრომისათვის; 12 ECTS კრედიტი განსაზღვრულია სპეციალიზაციის არჩევითი მოდულებისათვის; 12 ECTS კრედიტი ეთმობა არჩევით საგნებს.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას, სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან – არქეოლოგიის მაგისტრი. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია. სამაგისტრო პროგრამაში ასახულია სფეროს თანამედროვე მიღწევები. საქართველოს უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობას. პროგრამაში გათვალისწინებულია სწავლების საფეხურის შესაბამისი ინტერნაციონალიზაციის საკითხები. პროგრამა ასევე ინტერდისციპლინარულია და გულისხმობს ისეთი სასწავლო კურსების სწავლებას, რომლებიც კურსდამთავრებულს მისცემს საშუალებას არქეოლოგიური კვლევისას გამოიყენოს მიღებული ცოდნა საბუნებისმეტყველო მიმართულებებში.

პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი სურვილი. კარგი იქნებოდა, თუ სამი ძირითადი არჩევითი მოდულის გარდა (ქვისა და ბრინჯაოს ხანა; ქალკოლითი და ნეოლითი; ანტიკური ეპოქა), პროგრამას დაემატებოდა მეოთხე მოდული – შუა საუკუნეები, მით უმეტეს, რომ პროგრამის არჩევით კურსებში უკვე არის შეტანილი შუა საუკუნეების არქეოლოგია, ხოლო ძირითად საგნებში კი – ქრისტიანული არქეოლოგია. შესაბამისად, ახალი მოდულის დამატება არ მოითხოვს ახალი სასწავლო კურსების შექმნას და პროგრამაში ჩართვას. გარდა ამისა, უმჯობესი იქნება, თუ პროგრამის არჩევით საგნებში მოცემული ინგლისური ენა B2+ ჩანაცვლდება დარგობრივი ინგლისური ენით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**1.4.1. სასურველია, რომ პროგრამის სტრუქტურაში ცალკე იქნას გამოყოფილი შუა საუკუნეების არქეოლოგიის შემსწავლელი საგნები მეოთხე არჩევითი მოდულის – შუა საუკუნეების არქეოლოგიის სახით.**
**1.4.2. სასურველია, რომ პროგრამის არჩევით საგნებში მოცემული ინგლისური ენა B2+ ჩანაცვლდეს დარგობრივი ინგლისური ენით.**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**1.5 სასწავლო კურსი/საგანი**

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების შინაარსი აღწერილია შესაბამის სილაბუსებში. სასწავლო კურსების

სილაბუსები შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავენ შემდეგ კომპონენტებს: სასწავლო კურსის სახელწოდება, ავტორი/ავტორები, ლექტორი/ლექტორები; სტატუსი, კრედიტების რაოდენობა სტუდენტის საათობრივი დატვირთვით, დაშვების წინაპირობები, მიზნები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. სასწავლო კურსების შინაარსი, კრედიტების რაოდენობა (6 კრედიტი), საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, კურსის სპეციფიკას, შინაარსს და სწავლის მეთოდებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და სფეროს მიღწევებს.

არქეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შედეგები ქმნიან პროგრამების სწავლის საბოლოო შედეგებს. სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის შეფასების ფორმების, მეთოდების და კრიტერიუმების მეშვეობით ფასდება თითოეული სწავლის შედეგი. სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგში არსებულ თანამედროვე მიღწევებზე. სილაბუსი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, ხანგრძლივობა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება, ლექტორი, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის მიზანი, სწავლის შედეგები და კომპეტენციები, ძირითადი თემები, შეფასების წესი, ლიტერატურა და სხვა რესურსები, თემატიკა კვირების მიხედვით.

ზოგიერთ სილაბუსში (არქეოლოგიური კოლექციების ინტერპრეტაცია მუზეუმებში; გეოინფორმაციული ტექნოლოგიები არქეოლოგიაში; ქალკოლითური კულტურების არქეოლოგია და ა.შ.) ძირითადი ლიტერატურის ნაწილს აკლია გამოცემის წელი. ჩვეულებრივ, ეს XXI საუკუნეში გამოცემული წიგნებია, ასე რომ, ლიტერატურის მოძველების პრობლემას აქ ადგილი არ აქვს და, როგორც ჩანს, სილაბუსებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, რაც იოლი გასასწორებელია. ამავე დროს, ექსპერტთა ჯგუფის ყურადღება მიიქცია არქეოლოგიური პრაქტიკის სილაბუსმა, რომელიც ცალსახად გადასამუშავებელია, რადგანაც, სხვა საგნებთან ერთად, ის ისწავლება ჩვეულებრივად მესამე სემესტრში და გაწერილია 15 კვირაზე. ამავდროულად, სილაბუსში წერია, რომ საგნის კვირეული დატვირთვაა კვირაში 5 დღე და დღეში 3 საათი. თანაც, მინიმუმ რვა კვირა გამოდის ველზე. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, როგორ უნდა ისწავლოს დანარჩენი საგნები სტუდენტმა, თუ სემესტრის განმავლობაში ის უმეტეს დროს ველზე გაატარებს.

ასევე გადასამუშავებელია საგნის „აკადემიური წერა და კვლევა“ სილაბუსი, რომელიც ნაკლებად ითვალისწინებს კვლევას (რეფერატის მოსამზადებლად მხოლოდ 10 საათი არის მოცემული) და ასწავლის ციტირების მხოლოდ ერთ სტილს (მიუხედავად იმისა, თუ მითითების რომელი სტილია მიღებული უნივერსიტეტში, აკადემიური წერისას სტუდენტი სხვა სტილებსაც უნდა გაეცნოს, რომ მომავალში გამოქვეყნებისას პრობლემებს არ წააწყდეს).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**1.5.1. უნდა გადამუშავდეს საგნების „არქეოლოგიური პრაქტიკა“ და „აკადემიური წერა და კვლევა“ სილაბუსები.**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**1.5.2. სასურველია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები (მიეთითოს გამოცემის წელი) სილაბუსებში: არქეოლოგიური კოლექციების ინტერპრეტაცია მუზეუმებში; გეოინფორმაციული ტექნოლოგიები არქეოლოგიაში; ქალკოლითური კულტურების არქეოლოგია და ა.შ.**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი,

საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის კურიკულუმის მიხედვით, აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (სამაგისტრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ინგლისურ ენაში B/2 (წერითი) და სპეციალობაში (ზეპირი) გამოცდის წარმატებით გავლის, ადმინისტრაციული რეგისტრაციის და პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამაზე დაიშვებიან ბაკალავრის ხარისხის მქონე პირები ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, შესაბამისი პროცედურები და სპეციალობაში გასაუბრების თემატიკა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და საჯარო და ხელმისაწვდომია მსურველთათვის.
არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭირვალე, სამართლიანი და ხელმისაწვდომია. წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ლოგიკურადაა დაკავშირებული სწავლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან, თუმცა, სასურველია, მიღების წინაპირობაში ასევე ასახულიყო, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესითაც. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ არქეოლოგია ბოლო ხანებში სულ უფრო ინტერდისციპლინარული დარგი ხდება, ალბათ, სასურველი იქნება, თუ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველები არ იქნებიან შეზღუდული მხოლოდ ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ვებგვერდი – https://online.ug.edu.ge/programs/programs_full.php?programID[]=285.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**2.1.1. სასურველია, პროგრამაზე მიღება არ იყოს შეზღუდული მხოლოდ ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებით.**

**2.1.2. სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობებში მითითებული იყოს, რომ პროგრამაზე**

ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესით წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ასევე პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი -/ შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას კვლევითი და პრაქტიკული უნარების განმავითარებელ პროექტებში. სასწავლო ციკლის ბოლოს სტუდენტი ამზადებს სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც ორიენტირებულია კვლევითი უნარის გამომუშავებაზე. ამ მიზანს ემსახურება პროგრამის ძირითადი კურსების უმეტესობაში ჩართული კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტი – რეფერატი. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის აუცილებელი კომპონენტია პრაქტიკული კვლევის განხორციელება საველე-არქეოლოგიურ გათხრებში, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება ისტორიული სამშვილდის ტერიტორიაზე, სადაც უნივერსიტეტს საკუთარი არქეოლოგიური ბაზა გააჩნია და კაზრეთის ორთვალა მღვიმის კომპლექსში განსხვავებული სპეციფიკის ძეგლზე. უსდ აგრეთვე უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა არქეოლოგიურ კვლევებში ეროვნულ მუზეუმთან და ცალკეულ არქეოლოგიურ ექსპედიციებთან გაფორმებული მემორანდუმების გათვალისწინებით. სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია უსდ-ს ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და, ასვე, ახალგაზრდა არქეოლოგთა ყოველწლიური კონფერენცია. სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ საკუთარი ნაშრომები გამოაქვეყნონ იბეჭდება სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებულებსა და ჟურნალში „არქეოლოგია“. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტებს წვდომა აქვთ უნივერსიტეტის

არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებში დაცულ კოლექციებთან, რომელთა აღმოჩენა, კამერალური დამუშავება და სამუზეუმო ფონდებში განთავსება უშუალოდ მათი მონაწილეობით ხორციელდება.
არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და შეესაბამება სწავლების საფეხურს. პრაქტიკასა და სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილეობისას სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც ასევე აფასებს სტუდენტის საქმიანობას; პრაქტიკის ობიექტებთან, დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/ მემორანდუმები ხელს უწყობს პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტები ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად საჭირო კომპეტენციების გამომუშავებას და დონის შესაბამისი კვლევითი უნარების განვითარებას.
საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავებისათვის ხდება უნივერსიტეტის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებში დაცულ კოლექციებზე მუშაობა და მათზე ჩატარებული კვლევისას თანამედროვე მეთოდების გამოყენება, რაც სტუდენტს უყალიბებს სხვადასხვა სახის მონაცემთა დამუშავების, ინტეგრირების, ანალიზის, ინტერპრეტაციის, არქეოლოგიური კულტურების ფართო კონტექსტში განხილვის უნარს. უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან, მაგალითად გერმანიის არქეოლოგიურ ინსტიტუტთან და შირაზის უნივერსიტეტთან. მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარება ხდება ისეთი სასწავლო კურსების მეშვეობით, როგორიცაა: პროექტის მენეჯმენტი, გეოფიზიკური მეთოდები არქეოლოგიაში, პალინოლოგია, აკადემიური წერა და კვლევა, არქეოლოგიური მასალის კამერალური დამუშავება, კვლევა და დოკუმენტირება და სხვ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხელშეკრულებები და მემორანდუმები;
- ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის კურიკულუმის მიხედვით სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი მეთოდები: წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ინტერაქტიული მეცადინეობები, დისკუსია/დებატები, პრაქტიკული მუშაობა;, კრიტიკული ანალიზის მეთოდი;, პრობლემის დასმა და გადაჭრა, შემთხვევის შესწავლა და ანალიზი, წერითი მუშაობა, რეფერატების პრეზენტაცია. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებში გათვალისწინებული სწავლის თითოეული შედეგი სრულად ასახულია თვითონ პროგრამაში, შესაბამისად, პროგრამა მთლიანად აგებულია და სტრუქტურულად წარმოდგენილია თავად მასში შემავალი სასწავლო კურსების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის შედგენისას, დასახული მიზნებისა და სასურველი სწავლის შედეგების მისაღწევად შეირჩა სწავლება-სწავლების რელევანტური მეთოდები, რომლებიც სრულ შესაბამისობაში სწავლების საფეხურთან (სამაგისტრო) და უზრუნველყოფს როგორც ცალკეული სასწავლო კურსის, ისე მთლიანად პროგრამის მიზნების მიღწევადობას. აგრეთვე სწავლების პროცესში გათვალისწინებულია დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და განათლების სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მიღწევები. სწავლების პროცესი ტექნოლოგიზებულია.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სასწავლო კურსის/საგნის სწავლება-სწავლის მეთოდები აქტივობები განსაზღვრულია სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით, სრულად შეესაბამება სწავლების საფეხურს, სწავლის შედეგებს და არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. პროგრამაში გამოყენებული სწავლება. სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას სათანადო ავტონომიურობით და პასუხისმგებლობით, პერსონალსა და სტუდენტებს, ასე სტუდენტებს შორის ინტერაქციას. სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს სწავლის პროცესში სტუდენტის მონაწილეობას სათანადო და მიმართულია სტუდენტის მიერ დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებისაკენ. სასწავლო კურსების/საგნების სილაბუსში

გაწერილი სწავლება-სწავლის მეთოდები ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების (05/01/2007) და უსდ-ს სასწავლო პროცესის შიდა მარეგულირებელი წესის შესაბამისად.
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა მკაფიოდაა მოცემული თითოეული საგნის სილაბუსში. ის ითვალისწინებს ხუთი დადებითი სახის (A ფრიადი (91-100), B ძალიან კარგი (81-90), C კარგი (71-80), D დამაკმაყოფილებელი (61-70), E საკმარისი (51-60)) და ორი უარყოფითი სახის (FX ვერ ჩააბარა (41-50), F ჩაიჭრა (<40)) შეფასებას.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდაა გაწერილი ის სასწავლო კომპონენტებიც, რომელთა მიხედვითაც ხდება სტუდენტის შეფასება და ასევე ის კრიტერიუმები, რომლებითაც აღნიშნული კომპონენტები ფასდება. შესაბამისად, შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გამჭვირვალე, სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია. სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტები და მეთოდები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარეობენ.

სამაგისტრო ნაშრომების შეფასების წესი გაწერილია სამაგისტრო დებულებაში, რომლის მიხედვითაც „სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასება ხორციელდება საბჭოს თავჯდომარისა და ექსპერტის მიერ ინდივიდუალურად. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასება წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებული თითოეული კომპონენტის საშუალო არითმეტიკულ ქულათა ჯამს.“ ამავე დებულებაში მკაფიოდაა გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების წესი და პროცედურები.

სტუდენტი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის, „ჩემი UG“-ს მეშვეობით, რეგულარულადაა ინფორმირებული მიმდინარე შეფასებებთან დაკავშირებით. ამავე პლატფორმით, სურვილის შემთხვევაში, მას შეუძლია გაასაჩივროს შედეგები. გასაჩივრების პროცედურა გამჭვირვალე, ობიექტური და სტუდენტებისთვის ცნობილია. ამავე პლატფორმაზეა განთავსებული სასწავლო სილაბუსები.

უნივერსიტეტში გამოცდები მიმდინარეობს ელექტრონულად, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის ორგანიზებით. ჩატარებული ინტერვიუებისას, დადასტურდა, რომ აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას პოტენციური არაკეთილსინდისიერი ქცევის პრევენციაზე ზრუნავს როგორც გამოცდაზე დამკვირვებელი ფიზიკური პირი, ასევე ვიდეოდაკვირვების ტექნოლოგიაც. საგამოცდო ნაშრომი ანონიმურია და შემფასებელმა არ იცის მისი ავტორი, რაც უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობას.

უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკაც, რომელიც საჯაროდაა ხელმისაწვდომი უსდ-ს ვებგვერდზე. ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, დადასტურდა, რომ პლაგიატთან ბრძოლის მნიშვნელობასა და მექანიზმებზე პროგრამის სტუდენტებს ინფორმაცია სათანადოდ მიეწოდებათ. პლაგიატთან საბრძოლველად გამოიყენება პროგრამა „Turnitin“.

უსდ-ს შემუშავებული აქვს როგორც საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესი, ასევე საუნივერსიტეტო ნაშრომის APA სტილის მოთხოვნათა დაცვით გაფორმების შესახებ ინსტრუქცია. ორივე მათგანი ხელმისაწვდომია სასწავლებლის ვებგვერდზე.

სემესტრის ბოლოს სტუდენტებს გავლილ კურსთან დაკავშირებით ეგზავნებათ უკუკავშირის კითხვარები სწავლების ელექტრონული პლატფორმის დახმარებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესის მართვის პლატფორმა „ჩემი UG“;
- სამაგისტრო დებულება;
- საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესი;

- საუნივერსიტეტო ნაშრომის APA სტილის მოთხოვნათა დაცვით გაფორმების შესახებ ინსტრუქცია;
- უსდ-ს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა;
- უსდ-ს ვებგვერდი.
- ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.4 სტუდენტების შეფასება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და

რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

შეფასების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის და ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პროგრამის სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით სათანადოდ ინფორმირებულები არიან და რეგულარულ კავშირზე არიან აკადემიურ ხელმძღვანელებთან და პერსონალთან. ამას, ერთის მხრივ, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვის ვებგვერდი „ჩემი UG“, მეორეს მხრივ, მიმართულების სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტთა მცირე რაოდენობა. უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულებები ასევე ითვალისწინებენ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობისთვის საკონსულტაციო საათების არსებობას. როგორც ინტერვიუებისას გაირკვა, საკონსულტაციო საათების შესახებ სტუდენტები შეტყობინებას „ჩემი UG“-ს პლატფორმის საშუალებითაც იღებენ. ამასთან ერთად, აღნიშნული ინფორმაცია სემესტრის დასაწყისში თავსდება შესაბამისი დეპარტამენტების და საპროფესოროს კარზე.

როდესაც საუბარია არქეოლოგიის პროგრამის თავისებურებებზე, უნდა აღინიშნოს უნივერსიტეტის არქეოლოგიური ბაზის არსებობა სამშვილდის ტერიტორიაზე, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სათანადო პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება მიიღონ. ინტერვიუების პროცესში გამოკითხულმა პროგრამის კურსდამთავრებულებმა დადებითად შეაფასეს პროფესიული განხრით უნივერსიტეტში სწავლისას მიღებული პრაქტიკული გამოცდილება. აღინიშნა, რომ რეგულარულად გააჩნდათ საველე საქმიანობაში მონაწილეობის საშუალება და ხაზი გაესვა საზღვარგარეთ ანალოგიურ კვლევით პროცესში, კერძოდ ირანში მიმდინარე გათხრებში, აღნიშნული პროგრამის მაშინდელი სტუდენტის (ახლა უკვე კურსდამთავრებულის) მონაწილეობას.

ზოგადად, ინტერვიუებისას გამოკითხული პროგრამის კურსდამთავრებულების მხრიდან, სასწავლო, კულტურული, შემეცნებითი ღონისძიებებისა და ვაკანსიების შესახებ ინფორმირების მხრივ უნივერსიტეტის საქმიანობა დადებითად შეფასდა. „ჩემი UG“-ს პლატფორმით მათ ასევე მიეწოდებათ სასწავლო პროცესით კმაყოფილების კითხვარი.

პროგრამის იმ კურსდამთავრებულებმა, რომლებსაც სწავლა კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში მოუწიათ, დისტანციურად სწავლების პრაქტიკისას სწავლის ხარისხი დადებითად შეაფასეს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესის მართვის პლატფორმა „ჩემი UG“;
- სამაგისტრო დებულება;
- პერსონალის დებულება;
- უსდ-ს ვებგვერდი.
- ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტში შემუშავებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესის განმსაზღვრელი დოკუმენტები. არსებობს როგორც სამაგისტრო დებულება, ასევე საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელის და საკვალიფიკაციო ნაშრომების ექსპერტის სამუშაოს აღწერილობის და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შრომითი ხელშეკრულების დოკუმენტები.

კურსდამთავრებულებმა დადებითად შეაფასეს ხელმძღვანელებთან კომუნიკაციის და ჩატარებული კონსულტაციების ხარისხი და რაოდენობა. მათი თქმით, ხელმძღვანელები მათ ეხმარებოდნენ ლიტერატურასთან და კვლევით მეთოდებთან დაკავშირებითაც. ამ მხრივ, ასევე ხაზი უნდა გაესვას პროგრამის სტუდენტთა მცირე რაოდენობას, რაც მათ აკადემიურ პერსონალთან უფრო მჭიდრო და რეგულარული კომუნიკაციის საშუალებას აძლევს. ამასთან ერთად, კონსულტაციების წესი და ვალდებულება გაწერილია, როგორც სამაგისტრო დებულებაში, ასევე ნაშრომის ხელმძღვანელის შრომით ხელშეკრულებაში.

გამოკითხული კურსდამთავრებულების თქმით, სწავლის პერიოდში ისინი ინფორმირებულები იყვნენ პლაგიატის პრევენციის მნიშვნელობასა და მექანიზმებზე. ამასთან დაკავშირებით მათ ნაშრომის ხელმძღვანელი და საკვალიფიკაციო ნაშრომის მენეჯერიც აწვდიდნენ ინფორმაციას.

უნივერსიტეტს ასევე გააჩნია საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და

შეფასების წესი და ჩატარებული ინტერვიუების შედეგად აღინიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში პროგრამის სტუდენტები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულები ამ წესების შესახებ.
უსდ-ს სტუდენტებს ასევე მიუწვდებათ ხელი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან, რის შესახებაც ისინი ინფორმირებულები იყვნენ და აღინიშნა, რომ მათ როგორც ნაშრომის შედგენის, ასევე სწავლის პერიოდში ამ შესაძლებლობით არაერთხელ უსარგებლიათ.
უკვე სწავლის დასრულების შემდეგ, მაგისტრებს ასევე ეგზავნებათ პროგრამისა და სასწავლო პროცესის შეფასების ფორმა უკუკავშირისთვის.

| **მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები** | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების  რაოდენობა | **10** |
| მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა | **3** |
| თანაფარდობა | **3.33** |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო დებულება;
- საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესი;
- მაგისტრანტის ხელმძღვანელის ხელშეკრულების ფორმა;
- საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა;
- საკვალიფიკაციო ნაშრომების ექსპერტის სამუშაოს აღწერილობა;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ;
- უსდ-ს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა;
- პროგრამისა და სასწავლო პროცესის შეფასების ფორმა კურსდამთავრებულთათვის;
- უსდ-ს ვებგვერდი.
- ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| **კომპონენტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამას ახორციელებს 17 ლექტორი, რომელშიც 12 ლექტორი დარგობრივი მიმართულებისაა. ლექტორთა შორის 3 აფილირებული პროფესორია, მათგან ერთი დარგობრივი მიმართულებით, 7 აფილირებული ასოცირებული პროფესორი (მათ შორის 5 დარგობრივი მიმართულებით), 1 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი დარგობრივი მიმართულებით და 6 მოწვეული ლექტორი (მათ შორის 5 დარგობრივი მიმართულებით). პერსონალის საათობრივი დატვირთვა გადანაწილებულია საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულების საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 13.11.2020 წ. N49/20 ოქმით.

საქართველოს უნივერსიტეტში არქეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის ბოლო 5 წლის მონაცემების

შესწავლამ დაადასტურა მათი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში ჩართული ყველა ლექტორი უძღვება იმ სალექციო კურსს, რა მიმართულებითაც ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. აკადემიური პერსონალი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მუდმივად ჩართულია სხვადასხვა არქეოლოგიურ ექსპედიციებში (მათ შორის საერთაშორისო რანგისაც, რომელთაგან ნაწილში მონაწილეობას იღებენ საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებიც) და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, რისი შედეგებიც ასახულია მათ მიერ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში წაკითხულ მოხსენებებში და გამოქვეყნებულ ნაშრომებში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევების ნაწილი ხორციელდება უშუალოდ საქართველოს უნივერსიტეტის ბაზაზე, რაც უნივერსიტეტთან შრომითი ხელშეკრულებითაც არის მოთხოვნილი და ფინანსდება ამავე უნივერსიტეტის მიერ. შესაბამისად, აკადემიურ პერსონალს გააჩნია შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი სალექციო კურსის ჯეროვნად გაძღოლისთვის და ასევე მაგისტრანტებისთვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემა-გაზიარებისთვის.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა (10/6) და დინამიკა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას (ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არც ერთი წასული და 3 შემატებული მოწვეული მასწავლებელი) და ის ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. მაგისტრანტების რაოდენობა სრულ შესაბამისობაშია მათი ხელმძღვანელების დატვირთვასთან. პროგრამის განხორციელებისთვის კარგად არის გამოყენებული უნივერსიტეტის შიდა რესურსი. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და ის უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. ის გახლავთ სამშვილდის ნაქალაქარის არქეოლოგიური საერთაშორისო ექსპედიციის ფუძემდებელი და ხელმძღვანელი, საქართველოს უნივერსიტეტში კითხულობს სხვადასხვა სალექციო კურსს, უძღვება არქეოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლას. არის სამეცნიერო სტატიების, მონოგრაფიების და საერთაშორისო კონფერენციებში მოხსენებების ავტორი.

პროგრამაში ჩართული სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომელსაც ქმნიან ბიბლიოთეკაში, პროგრამის განმახორციელებელ სკოლაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, ადმინისტრაციულ სამსახურსა და სხვა სამსახურებში დასაქმებული თანამშრომელები. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს და ისინი ხელს უწყობენ პროგრამების განხორციელებას და მათ შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)** | **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა** | **მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი** | **მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი** | **მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი** |
|---|---|---|---|---|
| სულ აკადემიური პერსონალი | **17** | **12** | **12** | **8** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| - პროფესორი | 3 | 1 | 1 | 3 |
| - ასოცირებული პროფესორი | 7 | 5 | 5 | 7 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 1 | 1 | 1 | 1 |
| - ასისტენტი | | | | |
| მოწვეული პერსონალი | 6 | 5 | 5 | – |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | – |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში;
- საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.1 ადამიანური რესურსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში, დანართი 1-ის მონაცემით, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად მითითებულია 10 პირი, რომელთა შეფარდება მაგისტრანტების რაოდენობასთან შეადგენს 3.33-ს.

საქართველოს უნივერსიტეტს, პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მოთხოვნების გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საქმიანობის წესი (სამაგისტრო დებულება, მუხლი 6) რომელიც რელევანტურია შესაბამისი საფეხურის მოთხოვნებისა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად და ასევე ინტერვიურების პროცესში გაირკვა, რომ მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელებს აქვთ სფეროს უახლესი ცოდნა, თანამედროვე სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობის გამოცდილება და სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის შესატყვისი სამეცნიერო ნაშრომები.

მაგისტრანტი ხელმძღვანელისგან რეგულარულად იღებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კონსულტაციებს ნაშრომის გაფორმების, სტრუქტურის, წერის, ნაშრომის წარდგენის და სხვა პროცესებზე.

| **სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა** | **ნაშრომების ხელმძღვანელები** | **მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები** | **მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი** |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | **10** | **7** | **7** |
| - პროფესორი | 2 | 1 | 2 |
| - ასოცირებული პროფესორი | 7 | 5 | 5 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 1 | 1 | 1 |
| მოწვეული პერსონალი | | | – |
| სამეცნიერო პერსონალი | | | – |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სამაგისტრო დებულება;
- მაგისტრანტის ხელმძღვანელის ხელშეკრულების ფორმა;
- საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ;
- უსდ-ს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა;
- ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აკადემიური პერსონალის შეფასებას მუდმივად ახდენენ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და სტუდენტები. ადმინისტრაციის მხრიდან ხდება როგორც ლექტორის აკადემიური საქმიანობის ასევე მისი კვლევითი პროდუქტიულობის შემოწმება და შეფასება, აკადემიური საქმიანობის შეფასება ხდება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მონაცემებით, ხოლო სამეცნიერო პროდუქტიულობა მოწმდება პერსონალის დებულებაში გაწერილი მოთხოვნების საფუძველზე. ამ შეფასებათა შედეგები აისახება ლექტორის დასაქმებაზე და მათ წახალისებაზე. ჰუმანიტარული სკოლის მხრიდან შემუშავებულია კითხვარი, რომელსაც სტუდენტები ავსებენ სემესტრის ბოლოს. გამოკითხვის შედეგების ანალიზს ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი და სკოლის დირექტორი და საჭიროებისამებრ აცნობენ და განიხილავენ აკადემიურ პერსონალსა და პროგრამის განვითარების საბჭოზე.
პერსონალთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებისთვის უნივერსიტეტის მხრიდან ხორციელდება სხვადასხვა ტრეინინგები და სემინარები (მაგ. ტრეინინგების ნაწილი ეხებოდა ადმინისტრაციულ საკითხებს, მეორე ნაწილი კი – სწავლების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებულ საკითხებს. პანდემიის პერიოდში დისტანციური სწავლების მეთოდების სწავლებისთვის უნივერსიტეტის მხრიდან სპეციალურად იყვნენ მოწვეულები ჩინელი სპეციალისტები); ფინანსდება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა; ასევე მონოგრაფიების და რეიტინგულ ჟურნალებში მასალების გამოქვეყნება. რეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების ავტორები ციტირების ინდექსის მიხედვით დამატებით იღებენ პრემიას. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს შიდა საგრანტო სისტემა, რომელიც ასევე ხმარდება აკადემიური

პერსონალის მიერ სამეცნიერო კვლევების დაფინანსებას. ჰუმანიტარულ ფაკულტეტთან არსებობს თ. ბერიძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო კონფერენციას ქართველოლოგიაში, რომელშიც ჩართულები არიან არქეოლოგიის პროგრამის ლექტორები და მაგისტრანტები. გარდა ამისა, ყოველწლიურად ტარდება ჰუმანიტარული მეცნიერებების კონფერენცია, რომელზე წაკითხული მოხსენებები გამოიცემა ცალკე კრებულებად. ყოველწლიურად გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალი“ (“Caucasus Journal of Social Sciences”) და დარგობრივი ჟურნალი „არქეოლოგია“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სტუდენტთა კითხვარები;
- სამეცნიერო კრებულები;
- კონფერენციების მასალები;
- პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში;
- პერსონალის გამოკითხვის ანგარიში;
- აკადემიური პერსონალის კითხვარი;
- ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ლექციები უტარდებათ უნივერსიტეტის სწავლებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით აღჭურვილ გარემოში: საპრეზენტაციო ციფრული მოწყობილობით აღჭურვილი აუდიტორიების რაოდენობა და მოცულობა შესაბამისობაშია სტუდენტთა რაოდენობასთან, უნივერსიტეტს გააჩნია საპრეზენტაციო სივრცეები, საპრეზენტაციო აპარატურით აღჭურვილი თემატური კაბინეტები, კომპიუტერები, რომლებიც განთავსებულია, როგორც ცალკე ინტერნეტ აუდიტორიაში, ასევე ბიბლიოთეკაში. პროგრამას აქვს საკუთარი არქეოლოგიური ბაზა, მისი ძირითადი ნაწილი მდებარეობს სამშვილდეში, სადაც ხდება ექპედიციის წევრთა განთავსება საველე პრაქტიკის დროს და ექსპედიციის მონაპოვარი მასალის განთავსება. აქვე ხორციელდება საველე პრაქტიკის დანარჩენი კომპონენტებიც. არქეოლოგიური ბაზის მეორე ნაწილი მდებარეობს თავად უნივერსიტეტის შენობაში (ორი ოთახი), სადაც თავად სტუდენტთა მიერ ხდება ექსპედიციის დროს მოპოვებული მასალის გადაღება და დოკუმენტირება (ანუ მასალის პასპორტირება). ჰუმანიტარული ფაკულტეტის სასწავლო სივრცის ფოიეში მოწყობილია ასევე საექსპოზიციო სივრცე, რომელშიც უნივერსიტეტის ექსპედიციების დროს მოპოვებული მასალის სახიერი ნაწილია გამოფენილი. ყველაფერი ეს საუკეთესო ხელშეწყობაა სტუდენტისთვის იმისთვის, რომ თეორიული ცოდნა გაამყაროს პრაქტიკული ცოდნითა და გამოცდილებით.
უნივერსიტეტს აქვს თავისი, საკმაოდ კარგად მოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელშიც მოიპოვება სასწავლო სილაბუსებით გათვალისწინებული ყველა ლიტერატურა. როგორც ბიბლიოთეკის პერსონალთან გასაუბრებით აღმოჩნდა, ლექტორები ვალდებულები არიან სილაბუსებში მიუთითონ მხოლოდ ის სასწავლო რესურსი, რომელიც ბეჭდური თუ ელექტრონული სახით მოიპოვება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. იმ შემთხვევაში თუ სასწავლო კურსი ითხოვს ისეთი ლიტერატურის გამოყენებას, რომელიც არ მოიპოვება ბიბლიოთეკაში, ასეთ შემთხვევაში ბეჭდური ვერსიის შეძენა ხდება უნივერსიტეტის მიერ, ხოლო ელექტრონული ფორმატით ბიბლიოთეკისთვის მიწოდებას უზრუნველყოფს თავად ლექტორი. გარდა ამისა, ლექტორები ვალდებულნი არიან, ლექტორის რიდერის ან ელექტრონული ან ამობეჭდილი ვერსია მიაწოდონ ბიბლიოთეკას. ამდენად, ბიბლიოთეკა მუდმივად ივსება სასწავლო და თემატური ლიტერატურით. სტუდენტთა და ლექტორთა ხელშეწყობისთვის პერსონალი უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში წიგნადი ფონდის გაციფრულებას და მიწოდებას უნივერსიტეტის მიერ სტუდენტისა და ლექტორისთვის შექმნილ პირად ელექტრონული გვერდის საშუალებით. უნივერსიტეტის ციფრული ბიბლიოთეკა შიდა წვდომისთვისაა განკუთვნილი ან სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია რეგისტრაციის გზით. ბიბლიოთეკიდან და საკუთარი ელექტრონული გვერდიდან სტუდენტსა და ლექტორებს წვდომა აქვთ საერთაშორისო ელექტრონული ჟურნალების ბაზებთან. უნივერსიტეტს აქვს ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია და თავსდება ინფორმაცია სასწავლო პროგრამების შესახებ, მობილობის, გაცვლითი პროგრამების, სამეცნიერო კონფერენციების, სამეცნიერო შრომების, გამოცემების და სხვა აქტივობების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგები;
- უსდ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.4 მატერიალური რესურსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამისთვის, თვითშეფასების დანართ დოკუმენტებში წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამისთვის უნივერსიტეტისგან გამოყოფილი ბიუჯეტი, რომლის მთავარი წყაროა სტუდენტის სწავლის გადასახადი (3000 ლარი). ბიუჯეტის დამატებით წყაროს წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი დამატებითი ხარჯი და ასევე საუნივერსიტეტო გრანტი. ბიუჯეტით ფინანსდება პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ტრენინგები, სამეცნიერო კონფერენციები, სამეცნიერო კვლევების ამსახველი ნაშრომების გამოცემა, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები და მხარდამჭერი სერვისები და სხვ. ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული, ასევე ერთჯერადი. ასეთებია გერმანიის სამეცნიერო განვითარების ფონდის გრანტი და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსება, რომლებიც ხმარდება სტუდენტთა ჩართულობით არქეოლოგიური ექსპედიციების განხორციელებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით

იკვეთება, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უსდ-ში კოორდინირებას უწევს პროგრამის განვითარების საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედის საქართველოს უნივერსიტეტის ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, შესაბამისი მიმართულების სკოლის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი. აღნიშნული საბჭოს საქმიანობის ძირითადი ამოცანაა უსდ-ში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალთან თანამშრომლობით მონაწილეობს სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების მიღწევის რელევანტურობის შემოწმების მიმართულებით, რათა მოხდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვა, შედეგების ანალიზის საფუძველზე კი პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება, პროგრამის მიზნებისა და შედეგების რელევანტურობის, პროგრამის შედეგების მაქსიმალურად გასვლის უზრუნველსაყოფად.

ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა რგოლთან, რათა სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდეს ობიექტურად და გამჭვირვალედ, პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების შემოწმება, გაზომვა და ანალიზი მთელი სემესტრის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობს. ამ პროცესში აქტიურად გამოიყენება უსდ-ს დებულებით განსაზღვრული შუალედური და დასკვნითი შეფასებების ანალიზი, სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობების, საერთაშორისო პროექტების შედეგების ანალიზი და ბაზრის კვლევის შედეგები.

ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების განცხადებით, პროგრამის შედეგების შეფასება ხდება პროგრამის განვითარების საბჭოზე, რაც შეეხება პერიოდულობას, პირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ; არაპირდაპირი მექანიზმებით კი არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ. ამ მიმართებით აღსანიშნავია, რომ მათი შეფასებით, „ელექტრონულ სისტემაზე გადასვლამ კიდევ უფრო მკაფიო გახადა კურსების შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება“.

უსდ-ში კარგად არის დაგეგმილი განსახორციელებული პროცედურები, რის საფუძველზეც წარმოებს მიმდინარე პროცესების შეფასება. - ციკლურ პროცესზე დაყრდნობით ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტთან მიმართებით: დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება და გაუმჯობესება (Planning, Implementing, Checking and Improving - PICI).

ასევე მკაფიოა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი მექანიზმები, რომლის საქმიანობაში აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. შიდა შეფასების საფუძველზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინსტრუმენტები უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას, ხარისხის განსაზღვრას სისტემაში, ასევე საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების სტანდარტის ამაღლებას.

ამრიგად, დოკუმენტების შესწავლა, გასაუბრების შედეგები აჩვენებს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები – საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების, სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებლის

დამოკიდებულება ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებასა და განვითარების ხელშეწყობაზე, ასევე სასწავლო პროცესის მონიტორინგი, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია, პერიოდული კვლევების წარმოება და რეკომენდაციების შემუშავება – მიმართულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფასთან.

თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამაზე მუშაობა კოორდინირებულად და აქტიურად მიმდინარეობდა: გადაიხედა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებსა და მიღწევის აქტივობებს შორის კავშირი, შეფასების კრიტერიუმებში მოხდა ცალკეული ხარვეზების გასწორება გარკვეულ სასწავლო კურსებში.

დოკუმენტებითა და გასაუბრებებით იკვეთება ისიც, რომ ხარისხის შიდა შეფასების მიზნით აქტიურად გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების სისტემაც, რომელიც მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონენტებს და ასახავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების კითხვარები;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული მასალა;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, გასაუბრებების საფუძველზე/აქტიური ინტერვიუების ფორმატში გამოიკვეთა, რომ პროგრამა გარე ხარისხის შეფასებისათვის იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტებს: გარე ექსპერტების შეფასებას (როგორც ქართველი, ასევე საერთაშორისო ექსპერტები) სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისი მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზს, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტების კვლევას,

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი პროგრამა მომზადებისას დაეფუძნა: საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ამ მიმართულებით მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის შედეგებს. კერძოდ, წარმოდგენილი პროგრამის შესაბამისი სკოლის ხელმძღვანელის განცხადებით, პროგრამის მესვეურების მიერ განხორციელდა საქართველოში არსებული შესაბამისი პროგრამების: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, – ამ მიმართულებით მოქმედი პროგრამების შედარებითი ანალიზსა და შედარებას მათ პროგრამასთან. მისი თქმით, „პროგრამის განსხვავებულობა გამოიხატება მის ინტერდისციპლინურობასა და სავალდებულო საგნების ჩამონათვალში ისეთი ტიპის სასწავლო კურსების არსებობით, რომლებიც არ გვხვდება სხვა სამაგისტრო პროგრამებზე: პალინოლოგია, ზოოარქეოლოგია, პალეოპათოლოგია; ასევე პროგრამაში არჩევით საგნებში ისტორიული კურსების შეთავაზებით: ქართველთა ცხოვრება, ისტორიული ანალიზი, საქართველოსა და კავკასიის გეოგრაფია და ისტორიული გეოგრაფია, ანტიკური და შუა საუკუნეების უცხოენოვანი წყაროები საქართველოს შესახებ და სხვ.“

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ პროგრამას აქვს გარე შეფასება ქართველი/ უცხოელი ექსპერტების მიერ. ქართველი გარე ექსპერტის წარმოდგენილ დასკვნაში არ არის გაცემული არც ერთი რეკომენდაცია: ექსპერტი აღნიშნავს, რომ „წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფს სამაგისტრო დონის შესაბამისი კვლევითი და პრაქტიკული უნარების მქონე კურსდამთავრებულის ჩამოყალიბებას“ და პროგრამას აფასებს, როგორც წარმატებულს. სიმონ ფრეიზერის კანადური უნივერსიტეტის პროფესორის მიერ „პროგრამა შეფასებულია, როგორც მაღალი სტანდარტებით მომზადებული და უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური ცოდნის მიცემას პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის“. აღნიშნულ დასკვნაში ასევე აღნიშნულია: „წარმოდგენილ პროგრამაში არის პრაქტიკულ სფეროში არსებული თანამედროვე მეთოდები და არქეოლოგიური საველე პრაქტიკა, რაც პროგრამის ძლიერი მხარეა, ასევე მყარი თეორიული ფონი და ველზე მუშაობის შესაძლებლობა არის გარანტი მაღალკვალიფიციური არქეოლოგის ჩამოყალიბებისა, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ცოდნითა და უნარებით“.

პროფ. ჰამბურგის უნივერსიტეტიდან წარმოდგენილ დასკვნაში ამბობს, რომ „პროგრამაში აქცენტირებულია პროგრამის კურსდამთავრებულისათვის კვლევის მაღალი ხარისხის, ინგლისური უნარების კომპეტენციების უზრუნველყოფა, რაც საერთაშორისო დონის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად უმნიშვნელოვანესია“.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით მკაფიოდ ჩანს, რომ პროგრამის მომზადებისას ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიზნით, გამოყენებულია ხარისხის გარე შეფასების შედეგები (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა).
კურსდამთავრებულის თქმით, გათვალისწინებულია მათი ინტერესები, კერძოდ, კურსებში პრაქტიკული აქტივობების გააქტიურების მიმართებით. ასევე, ერთ-ერთი კურსდამთავრებულის თქმით, ის ჩართული იყო ძალზე საინტერესო გაცვლით პროგრამაში ირანში, რამაც დიდი როლი ითამაშა მასში პრაქტიკული უნარების ფორმირებისათვის. მთლიანობაში, კურსდამთავრებულთა შეფასებით, „მათ გაიარეს კარგი პრაქტიკა უსდ-ში, რადგან საქართველოს უნივერსიტეტს აქვს კარგი არქეოლოგიის ბაზა “.
დამსაქმებლებმა ინტერვიუს დროს გამოავლინეს პროგრამის ცოდნა, რომ ის არის ინტერდისციპლინური, ხაზი გაუსვეს საველე მუშაობაზე აქცენტის გაკეთებას და ა.შ.
წარმოდგენილი პროგრამის გარე შეფასების ფარგლებში გაანალიზდა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი მიღწევის კომპონენტები, სწავლება-სწავლის მეთოდები, სადაც ჩართული იყვნენ კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები, ასევე დარგის სპეციალისტები.
აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუებით.
შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ გარე ხარისხის შეფასების მიზნით პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;
- პროგრამის განვითარების საბჭოს ოქმები;
- გარე შეფასების ამსახველი დოკუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| **კომპონენტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 5.2 ხარისხის შეფასება | გარე | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უსდ-ში კოორდინირებას უწევს საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური/უნივერსიტეტის მართვის ორგანო, რომლის საქმიანობის ძირითადი ამოცანაა უსდ-ში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება რეგულარული პროცესია, რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები; როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების პაკეტით და ინტერვიუებში გაჟღერებული ინფორმაციით.

გასაუბრებებით ასევე გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში სისტემატურად მიმდინარეობს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, მათი კმაყოფილების კვლევა სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო ფონდების მოხმარებასა და სხვ. კითხვარების განახლება პერიოდულად ხდება. გამოკითხვის პროცესში გამოყენებულია როგორც საუნივერსიტეტო დონეზე რეკომენდებული, ისე დამატებითი კითხვარები, რაც უკავშირდება დარგის სპეციფიკას. აქტიური დატვირთვა აქვს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას. წლიური ანგარიშის ფორმა, რომელსაც პერსონალი ავსებს სასწავლო წლის მიხედვით, აერთიანებს სხვადასხვა ტიპის აქტივობას, როგორც პედაგოგიური, ასევე სამეცნიერო მიმართულებებით. შევსებული ანგარიშების მონაცემები მუშავდება ხარისხის სამსახურის მიერ და შემდეგ გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით აკადემიურ პერსონალთან ინდივიდუალურად მიმდინარეობს აქტივობების დაგეგმვა. პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებებში გაწერილია პერსონალის მიერ სამეცნიერო და პრაქტიკული ჩასატარებელი საათები, სხვა აქტივობები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივ რეჟიმში კონსულტაციებს უწევს აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალს, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მუდმივად, პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით მიმდინარეობს სწავლისა და სწავლების, კვლევის პროცესების, ადმინისტრირებისა და სერვისების ინტეგრირება ელექტრონულ პორტალებზე. აღსანიშნავია პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამაში ჩართული პერსონალის აქტიური თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მათი აქტიურობა ხარისხის სამსახურის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ტიპის ისეთ შეხვედრებში, როგორიცაა სასწავლო-სამეცნიერო პროცესის გამართულობა, პროგრამის შემუშავება, სილაბუსების მომზადება. უკუკავშირების შედეგად მუდმივ რეჟიმში უწყვეტად მიმდინარეობს ცალკეული კურსების მოდიფიცირება, სხვადასხვა ფორმატის საკონსულტაციო თუ სატრენინგო შეხვედრებში მონაწილეობა. ახალი რეგულაციების გაცნობისა ან

შიდა რეულაციების შექმნა-განახლების მიზნით, ასევე მნიშვნელოვანია შეფასების ინსტრუმენტებსა და რეგულაციებზე მიღებული ინფორმაციის ასახვა პროგრამაში. ყველა მოყვანილი ცვლილება განიხილება პროგრამის განვითრების საბჭოზე, რაც არის პროცესში პერსონალის ჩართულობის გარანტი.

შეხვედრებისას გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პირები იცნობენ ამ მექანიზმებს და მათ გამოყენებას ეფექტურად მიიჩნევენ პროგრამისა და თვითგანვითარებისათვის. ინტერვიუებში აღინიშნა, რომ პერსონალის შეფასების შედეგები გაითვალისწინება პროგრამის განვითარების პროცესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხიმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

აკრედიტაციისათვის საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში სამუშაო ჯგუფთან ერთად ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები (კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, პროფესორები).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე, შეიმუშავებს სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, გეგმავს შეფასების პერიოდულობას, უზრუნველყოფს შეფასებას და მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, იძლევა რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ნათლად ჩანს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის მიმართულებები სტუდენტზეა ორიენტირებული და სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება. უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსებისა და სერვისების მიწოდების მაღალი ხარისხი, სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაცია, პერიოდული და ეფექტური მონიტორინგი, შეფასება და სწორი რეაგირება.

პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მონაწილეობს სამსახურის მიერ დაგეგემილ შეხვედრებში (იქნება ეს სასწავლო-სამეცნიერო პროცესთან, პროგრამასა და სილაბუსებთან, შეფასებასთან დაკავშირებული სატრენინგო შეხვედრები, თუ ახალი რეგულაციების გაცნობისა ან შიდა რეგულაციების შექმნა-განახლების მიზნით ორგანიზებული შეხვედრები). პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს, რამდენადაც ეცნობა და იყენებს გამოკითხვების შედეგებს (ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ატარებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვებს, ჩატარებული კვლევების შედეგები გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად, პროგრამის გასაახლებლად, პროფესორთა მუშაობის უკეთ დასაგეგმად).

პროგრამის კომპონენტების შეფასების მიზნით აქტიურად ინერგება ელექტრონული სისტემაც, შეფასების შედეგები ხელმისაწვდომი ხდება როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის, ასევე კომპონენტის განმახორციელებლისთვის (აკადემიური და მოწვეული პერსონალი), რაც უზრუნველყოფს კომპონენტის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას.

ასევე უნივერსიტეტში გამოიცემა ჟურნალი „არქეოლოგია“. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით გამოდის ჟურნალიც, სადაც პერსონალს აქვს საშუალება გამოაქვეყნოს სამეცნიერო შრომები.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმები უნივერსიტეტში დამუშავებული და გააზრებულია, რაც ხელს უწყობს პროგრამის მუდმივ განვითარებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;

- სტუდენტთა კვლევის ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;
- პროგრამის განვითარების საბჭოს ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: არქეოლოგია, მაგისტრატურა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

| შეფასება / სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თეიმურაზ პაპასქირი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა მერაბ ჭუმბურიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა პაატა ბუხრაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ქეთევან დიღმელაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირმა ქურდაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა საბა ყაფლანიშვილი